№ 140 ივლისი 4, ოთხშაბათი 1890 ივლისი 4, ოთხშაბათი № 140

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

„Иверія" (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, აფხაზის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია" პირველის ივლისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცდა

(კრებული)

II

ფასი წიგნისა 50 კაპ.

(10—9)

## ახალი ამბავი

⁂ თავმჯდომარე მომავალ დედათა სკოლის კომიტეტის კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა უგულითადესს მადლობას უცხადებს ფილდოსია პეტრეს ასულს ჯაყელისას და ყვირილის საზოგადოებას, რომელთა შემწეობითაც გაიმართა ყვირილაში 16 ივნისს „საცეკვაო საღამო", და ხარჯის გადარჩენილი ათი თუმანი ფული მიღებულია თანხად ზემოხსენებულის სკოლისა.

⁂ მის უწმინდესობას სომეხთა პატრიარქს მაკარის გენერალ-ადიუტანტ შერემეტიევისათვის მოულოცნია კავკასიის მთავარ-მართებლად დანიშვნა. მთავარ-მართებელს პასუხად შემდეგი დეპეშა მიუწერია: «გულითადად გმადლობთ, თქვენო უწმინდესობავ, მოლოცვისათვის და აგრეთვე ლოცვა-კურთხევისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს დახმარებას არ მომაკლებთ და ტვირთს შემიმსუბუქებთ, რათა წესიერად შევძლო მართვა თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოს საქმეებისა. კავკასიის გამგეობა და აგრეთვე ჩვენის უმოწყალესის ხელმწიფე იმპერატორის განზრახვანი და იმედნი გავამართლო".

⁂ ამას წინად იყო გამოცხადებული „ივერიაში", რომ მთაწმინდაში, ხევის ქუჩაზე, ნიაღვარმა მიწა ჩამოზიდა და წყალს აგუბებსო. ეს მიწა აქამდის ისევ ისე ხელ-უხლებელი ძევს, ახლა კიდევ გუშინწინდელი ნიაღვრის დროს წყალი შეგუბდა და სახლებში შევარდა. მცხოვრებლებს მთელი ღამე არა სძინებიათ, ეშინოდათ, წყალმა არ დაგვარჩოსო.

⁂ 24 ივნისს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში დღეობა იყო და ბევრი მლოცველი მოვიდა. წირვა-ლოცვა და პარაკლისი ქართულად გადაიხადა მ. არქიმანდრიტმა, მხოლოდ, რადგან რუსებიც ერივნენ, რომელთაც ქართული არ ესმოდათ, მლოცველთა თხოვნისამებრ, მ. გამდლიშვილმა მეორე ეკლესიაში რუსულად სწირა და პარაკლისიც რუსულადვე გადაიხადა.

⁂ ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოსამზადებელსა და პირველს კლასში მისაღები ეგზამენები 1890 წლის 24 აგვისტოდგან დაიწყება. თხოვნა და საჭირო საბუთები აგვისტოს 14-მდე უნდა იქმნეს წარდგენილი.

⁂ ხევი: ივნისის 30: აქ გუშინ, ამ თვეის 29, დილის 5 საათსა და 53 წუთზედ, საშინლად გაავდარდა და ნაშუადღევის 2 საათამდე არ გადაუდარებია. მთელის 8 საათის განმავლობაში შეუჩერებლად სწვიმდა და სულ კოკი-პირებულად ასხამდა. მდინარე თერგის გაღმა დასავლეთ-ჩრდილოეთის მხარეზე მდებარე სოფლების, ე. ი. გაიბოტნის, თოთის და არშის მცხოვრებნი დიდად დაზარალდნენ. რადგანაც ამ სოფლელებს სახნავ-სათიბი მიწები გვერდობებზედა აქვთ, ამიტომ ბევრგან წამოვიდა მაღლა მთებიდგან მიწის ზვავი, ჩამოწვა დაბლა ვაკეზედ და თავ-თავ დასხმული ყანები და სათიბი მიწები წაახდინა. მდ. თერგიც აღელდა მეტად უზომოდ, აქეთ-იქით ნაპირებზედ გადავარდა და პირველს სოფელში მცხოვრებთ, დროებით ვალდებულთ გლეხთ: ჯლუნა, იორდანე და ივანე ხუცელიძეების 5—6 დღიური ნაფუძარი სახნავი წაულეკა. ამასთანავე ზემო-ხსენებულ სამ სოფლის მცხოვრებთ მდ. თერგზე უხიდობის გამო ყველაფერი, ე. ი. შეშა, ჭერი, ხეები და სხვ. თერგის პირზე ჰქონდათ მოტანილი და დაწყობილი. ეს მასალა სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში უნდა გაეტანათ წყლის დაკლებისას მოსახმარებლად, მაგრამ შეუბრალებელმა მდინარემ მოჰკრა პირი და ყველაფერი თან წაიღო. სოფელ სტეფან წმინდასა და ცდოს შორისაც დიდი მიწის ზვავი ჩამოვიდა დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრით, ჩობიკაშვილების სარწყავს სათიბში გაიშალა და მთლად წაახდინა. ყაზბეგიდგან კავკავისკენაც 8 ვერსის სიშორეზე, სამხედრო-საქართველო გზაზედ ალაგ-ალაგ, მიწის ზვავი იყო. დარიალის აქეთ პატარა მდინარე ხდის წყალი ისე აღელდა, რომ ხიდის ქვეშ აღარ ეტეოდა და თუჯის ხიდზე ზედ გადადიოდა. ამის გამო გუშინ, შუადღის შემდეგ, ეტლები, ფურგუნები და ურმები აღარ დადიოდა.

⁂ სოფ. ზესტაფონი (რომელსაც მდინარის სახელი ყვირილა დარქმევია, რაც რკინის გზა გააკეთეს), მოგეხსენებათ, რომ შავის ქვის, ანუ მარგანეცის საწყობი ადგილია. აქ დიდ-ძალი ცხენ-ურემი ტრიალებს. ამისთანა ადგილს, რასაკვირველია, დიდი თვალ-ყურის დაჭერა ჰმართებს ყოველის მხრით. ავიღოთ, მაგალითად, სოფლის გზა, ან თვით-სოფლის ქუჩები. არა მგონია, რომ საქართველოში მოიპოვებოდეს სადმე ამისთანა ბინძურობა სახლებსა და ეზოებში, ბაზარში და დიდ შუა სოფლის გზაზე. სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, დღეში 3—4 ათასი ურემი ან ფურგუნი შემოვა და ამოდენა საზიდავში 6—10 ათასამდე საქონელი, ცხენი, ან ხარი და კამეჩი აბია. ყოველივე ბინძურობა ამ პირუტყვისა აქვე რჩება, არის ერთი საშინელი მტვერი, სიმყრალე და ამისაგან ისეა გახშირებული ბუზი, რომ დღე ორი წამი ძილი არ შეუძლიან მუშა კაცს, რომელსაც მთელის დღის მუშაობის დროს ორიოდ წამი მოსვენება ეჭირება. არავინ ყურს არ ათხოვებს და არავინ არა ზრუნავს. მაზრის ადმინისტრაციას, რომლის წარმომადგენელი მაზრის უფროსიც აქა სცხოვრობს, შეეძლო სანიტარული კომისია დაეწესებინა ზესტაფონს და დაევალებინა სახლის პატრონებისათვის სახლის ეზოების გაწმენდა და მორწყვა ერთად-ერთის ქუჩისა. ყოველ სახლის-პატრონს ჭა აქვს. ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ვინ არის ყურის-მგდებელი და მოთავე. ამას თუმცა დიდი ჭკუა და შრომა არ ეჭირება, მაგრამ, სჩანს, უბრალო საქმესაც სურვილი უნდა და მეცადინეობა. თუ სადმე მართლა ავადმყოფობა გაჩნდა, იმერეთში პირველი ბუდე ზესტაფონი გახდება.

⁂ რაჭა: ამ ჩვენს დამშვიდებულსა და მყუდრო მაზრაში ახლა ხანს ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი დატრიალდა. სოფელს ურავში ერთს საღამოს უეცრად დაკარგულა მოხუცი გლეხი. ჭირისუფლებს გადაუბრუ-

# ფელეტონი

## იჭვი

(ტუსაღის დღიური)

François Coppée.

ხვალ გამითავდება ვადა საპატიმროში ყოფნისა. ამ ექვსის თვეის წინად გადამიწყვიტეს დაპატიმრება იმ მიზეზით, რომ ჩემს უფროსს დახლიდგან ასი თუმანი მოვპარე. ხვალ დილით გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, მოვრჩები სასამართლოს მიერ დადებულ სასჯელის გადახდას.

რვა საათზედ დარაჯი შემოვა ჩემს სენაკში და მომიტანს იმ ტანისამოსს, რომელიც აქ შემოსვლის დროს ტუსაღის ფარაჯაზედ გამინაცვლეს. კარგად მახსოვს, ის ტანისამოსი ერთიან ახალი იყო და როცა ჩავიცვამ, კვლავ ყმაწვილ კაცად გადავიქცევი სხვებსავით და მშვენივრად ვიქნები ახალთ-ახლებში გამოწყობილი. მხოლოდ ისღა დამრჩება, რომ ქვემოდ ჩავიდე, სადაც საპატიმროს დავთრიდგან ამომშლიან, და გავექანო ჩემის მარგარიტას მოსახვევნად, რომელმაც პირობა მომცა, რომ საპატიმროს კარებთან მოვიცდიო. თავისუფალი ვიქნები!

თავისუფალი ვიქნები და შეიძლება ბედნიერება კიდევ გამოვცადო. მარგარიტა, რომლისთვისაც ჩავიდინე ქურდობა, თავისს გუშინდელს წერილში მეფიცებოდა, რომ მიყვარხარ და ისევე ადრინდელებრ ერთად ვიცხოვროთ, როგორც ცოლ-ქმარნიო.

ამ უშველებელს პარიჟში, სადაც ადამიანი წარსულს ადვილად დაჰმარხავს, ჩემებრ უნარიანი, მიმზიდველის სახისა და ვაჭრობის მცოდნე კაცი ყოველთვის თავს გაიტანს. ძარღვებში სისხლი მიდუღს და მზადა ვარ თვით უკანასკნელი შრომაც-კი ვიტვირთო, ოღონდ-კი ჩემთვისა და მარგარიტასათვის ლუკმა-პური მოვიპოვო. მაგრამ ეჰ, განა ღირს ლუკმა-პურისათვის ფიქრი. ისევ ხვალინდელს დღეზედ ვიფიქრებ, ხვალის სიხარულსა და აღტაცებაზედ.

გამოვალ თუ არა საპატიმროდგან, ეტლს დავინახავ და ეტლში კიდევ მარგარიტას აღელვებისაგან ფერ-მიმკრთალსა და ლამაზს სახეს. მეეტლეს ჩვენს ბინას ვეტყვი, შევხტები ზედ და საბრალო ცრემლ-მორეული ყმაწვილი ქალი გულში ჩამეკვრება. მერე როგორ დამკოცნის!

ავუხვევთ ჩვენის ქუჩის აღმართს, საიდგანაც ხელის-გულსავითა სჩანს მთელი ლიუქსამბურგის ბაღი. ეხლა, ამ სექტემბერის დამლევს, ხეხილები მშვენიერად უნდა იყოს ამწვანებულ-შეფოთლილი. გავშლით სუფრას ღია ფანჯარასთან; მზის თბილი სხივი დაეცემა სუფრას და ბროლის ჭურჭელში ათას ფრად აენთება; მხიარულად დავიწყებთ საუზმის ჭამას ერთმანეთის თვალის მოუშორებლად და ამ დროს ან ხმა-გაკმენდილები ვიქნებით აღელვებისაგან, ან მხიარულად ველაპარაკებით და მერმისის ძიებასა და კვლევას შევუდგებით. დამისხავს თუ არა ყავას, მარგარიტა მოვა და უწინდელებრ გვერდში ამომიჯდება, ხელებს მხარზედ დამადებს, ზედ დააყრდნობს თავის კოპწია ნიკაპს და თვალებში ჩამაცქერდება, იმისი თმა ჩემს ტუჩებს დაუწყებს ღიტინს... გული რომ გამისქდეს და სული დავლიო აღტაცებით იმ წუთას, მით უფრო უკეთესი...

დიახ! აი რა ბედნიერება მელირსება ხვალ ექვსის თვეის საზარელ მარტოობის შემდეგ, აი როგორ გავბედნიერდები, თუ მოვინდომე. ბედნიერება, თავისუფლება და სიყვარული, სამივ ერთად მოიყრის თავს ჩემთვის!.. არა, სულ არაფერი იქნება. ერთს საათს შემდეგ დავლევ სულს, რა-კი მოვრჩები ამ ფურცლების წერას და რა-კი გამოვირკვევ მიზეზს სიკვდილის ასეთ საშინელ წყურვილისას.

მალიან გაუოცდება დარაჯს, რომელმაც საპატიმროს წესის მიუხედავად სანთლის ნამწვი მომყიდა და შეძლება მომცა იმ ნამწვის სინათლეზედ დამეწერა ეს სტრიქონები, გაუკვირდება, როცა დილაზედ შემოსული საწოლის მოაჯირზედ ფეხებ-გაშოტილს, ენა-წამოვარდნილს, გაციებულსა და გალურჯებულსა მნახავს.

თავს შუაღამისას ჩამოვირჩობ, ეხლა-კი იმ გრძნობის ფიქრსა და გამორკვევას შევუდგეთ, რომელიც-კი გულსა და სულს მიღელვებს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ვაღიარო, რომ სულაც არა ვნანობ ჩემ მიერ ჩადენილს საქციელს, თუმცა-კი კარგად მესმის, რომ სასტიკად და ბოროტად ვულალატე ნდობას ადამიანისას: გავქურდე სამართლიანი და კეთილი კაცი, რომელიც ჩემს შრომას კარგად აჯილდოებდა, ჩემს მერმისზედ ზრუნავდა და ისეთს პატივსა მცემდა, რომ უნდოდა მიეამხანაგებინე კიდეც.

მაგრამ ეჰ, თავის მოტყუება რა საჭიროა: იოტის ოდენა სინანულსაც არა ვგრძნობ.

განა იმისთანა საქციელს კვლავ-კი არ ჩავიდენ?

ჩავიდენ! მარგარიტას ხელის აკანკალება რომ ვიგრძნო, კვლავ იმისი სურვილით ანთებული თვალები ბრილიანტის სამაჯურზედ მიჩერებული რომ დავინახო,—კიდევ მოვიპარავ ორმოც-და-ათ თუმანს და სურვილს დავუკმაყოფილებ.

[illegible] -ული? არ ვიცი, მაგრამ ამას-კი ჩავიდენ.

ოჰ, ეს დედაკაცი! როგორ შემიყვარდა პირველშივე, შევაჩერეთ თუ არა ერთმანეთს თვალი! კარგად მახსოვს, როცა ჩემმა ორმა მეგობარმა თითქმის ძალის-ძალათი წამათრია ერთს ბალში.

მუსიკა რაღაც უგუნურს პოლკას უკრავდა, დარბაზში რამდენიმე ქალი და კაცი თამაშობდა, გარშემო-კი, გაზით ანთებულს აივანებში, უსაგნოდ და უაზროდ ადიოდა და ჩადიოდა ხალხი.

ორი ქალი მოგვიახლოვდა. უფროსი, ძალზედ წაგლესილი შავგვრემანი, ერთს ჩემს ამხანაგთაგანს იცნობდა და ურცხვად გვთხოვა, რომ დაგვეპატიჟნა. შემოვუსხდით სტოლს; მე მეორის გვერდზედ დავჯექი, თეთრ-ყირმიზთან, რომელმაც უკვე მომხიბლა თავის ლამაზისა და ნაზის სახით და მორცხვის, კდემა-მორეულის ყოფა-ქცევით. ადვილად მიხვდებოდა ადამიანი, რომ იმას ეხლა-ხან დაეწყო ბალებში სიარული. ძვირფასი ნივთეულობა სულ არა ჰქონდა გაკეთებული, კარგა დიდის ხნის შეკერილი შავი სადა კაბა ეცვა, კაბა პატიოსანის დედაკაცისა.

მარტო წითელ-ყვავილებიანი შლიაპა უცნობსაც-კი აძლევდა ნებას, რო

ნებიათ მინდვრები, ტყეები და წყლის სანაპიროები, მაგრამ ვერსად უპოვნიათ. ამ მოხუცებულს გლეხს სოფლის სასამართლოში საჩივარი ჰქონია მეზობელთან და კიდეც მოუგია. ეჭვი მთავრობას მტერზედ აუღია და ახლა ხმა დადის, რომ ვითომც მწყემსებს ენახოთ იმ საღამოს ის მოხუცი ერთს ტყეში მიმავალი. მას უკან მისდევდა მისი მეზობელი და გვკითხა კიდეცაო: ამა-და-ამ კაცმა გაიარაო? ახლა გაიგეთ, რომ ის საწყალი მოხუცი გლეხი მიწაში ჩაფლული და ქვა-ლოდ მიყრილი უპოვნიათ. პოლიციის ბოქაული ჯაყელი ამ ქამად იქ იმყოფება გამოსაძიებლად და, ვნახოთ, როგორ გამოირკვევა ეს საქმე.

*** იქიდამვე: დიდის ხნის ნატვრა აგვისრულდა ქვემო-რაჭველებს და ახლად დანიშნულის პოლიციის ბოქაულის ბ-ნ გრ. ჯაყელის გულ-მოდგინეობისა და მხნეობის წყალობით გზები გაგვიმშვენიერდა. ამას გარდა მდინარეთა ჩამტვრეული ხიდები სრულიად გაგვიახლეს. ონიდგან ნაქერალამდის მშვენიერი გზაა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა უპატრონოდ და უმოწყალოდ არის მივიწყებული გზა ნაქერალა ტყიბულისა, ე. ი. ის ადგილები, სადაც თავდება რაჭის საზღვარი და ქუთაისის მაზრა იწყება. წინად თითქმის ყოველს წელს შეაკეთებდნენ ხოლმე ამ გზას და ახლა ნუ თუ ხუთ-ექვს წელიწადშიაც ერთხელ აღარ ეჭირვება შეკეთება? დროა ეხლა მაინც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გზის შეკეთებას. ახლა მაინც რაჭას თუ გვალვა დაუდგა და სიმინდი იმერეთიდგან გადმოსატანი გაუხდა, აბა, თქვენ გასინჯეთ, თუ რა უბედურებაში ჩავარდება მაშინ მთელი მაზრა. ახლა მთის გადავლა ცარიელს ცხენს უძნელდება და საპალნეს როგორ გადიტანს. იყო დრო, როდესაც ფაიტონი გადმოდიოდა ამ გზაზედ, მაგრამ ის დროც გაჰქრა და, რაც მეტი ხანი გავიდა, უფრო მომეტებულს გაჭირებაში ჩავცვივდით.

*** ზედაქანი (ზაქ. მაზ.): ჩვენში თუმცა მღვდელი გაუმწესებიათ, მაგრამ აქამდის ეკკლესია არა გვაქვს. მღვდელი სცხოვრობს ლაგოდეხში. ეხლა-ხან გარდაიცვალა ჩვენი მღვდელი ზირახოვი, რომელიც თავის სამრევლოში სულ ორჯელ იყო. ახლა დაგვინიშნეს მღ. დადაძე. ვნახოთ, ესეც ლაგოდეხში დაბინავდება, თუ თავის მრევლში. (ლაგოდეხი ზედაქანს 17 ვერსით შორავს). ყანები უხვი მოგვივიდა, პარკიც საშუალოა. ხილი მრავალია, ჩვენებურები ეხლავე ურმით ეზიდებიან მსხალს სიღნაღს, თელავსა და ქალაქს გასასყიდად.

*** ზაქათალა: ვერ იქნა და მშვიდობიანობა არ დამყარდა ამ ჩვენს მაზრაში. ლეკებს უნდათ ისევე ძარცვა-გლეჯით ცხოვრება, როგორც იმათნი მამა-პაპანი სცხოვრობდნენ. ქურდობა და ავაზაკობა აქ არ გამოილია. გზებზე შიშია, რის გამოც დაბინდებისათანავე სახელმწიფო გზაზე „ტროიკით“ სიარული აღკრძალულია. ამ წინა ხანში ავაზაკებმა ფოსტის გზაზედ ერთი მეეტლე მოჰკლეს და ეტლის ცხენები წაასხეს. ავაზაკების კვალი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ.

*** ეკატერინენფელდი: ეკატერინენფელდის საბოქაულოში ს. ხარვანში, 25 თიბათვეს, ღამით, უიარაღოდ და ფეხშიშველი ადგილობრივი გლეხი, ამირასტან ბადალ-ოღლი, გამოვიდა თავის სახლიდგან და მთელი ორი დღე და ღამე აღარ იცოდნენ, სად წავიდა. დიდის ხნის ძებნის შემდეგ ამ კაცის გვამი 27 თიბათვეს იპოვეს მიგდებული ერთის აქაურისავე მცხოვრებლის ბაღის ღობესთან. მაშინვე შეატყობინეს ადგილობრივს ბოქაულს, რომელმაც ამ მოკლულის შესახებ შემდეგი ცნობები შეჰკრიბა. ამირასტან-ბადალ-ოღლი გამოსვლისას თავის სახლიდგან ერთს თავის მეზობლისას მისულიყო; ზოგი ამბობს, მეზობლის ცოლთან რაღაცა კავშირი ჰქონდაო; სახლის პატრონი-კი გაიძახის, ეს კაცი ორის სხვა ამხანაგით საქურდლად მისულიყოო. ასე იყო, თუ ისე, ეს სულ ერთია, მაგრამ მკვლელი-კი სახლის პატრონი გამოდგა, როგორც თითონაც გულწრფელად აღიარა. მკვლელობის თაობაზედ ცოლმა სთქვა, რომ ამირასტანი ჩემთან რომ მოდიოდა, ჩემმა მაზლმა შეუტყო, კალოდგან ადგა, მოვიდა და პირდაპირ კეტი სცხო თავში ამირასტანსო, შეწუხებული ამირასტანი ახლო სახლში შეათრია და იქ ხანჯალი მარჯვენა გვერდში ტარამდის დაუტრიალა, რის გამოც ამირასტანმა ერთს წამში სული მიაბარაო. მერე ჩემი ქმარი დაბრუნდა წისქვილიდგან, იმან და მაზლმა შესდეს ცხედარი ცხენზედ და სხვაგან წაიღეს, არ ვიცი-კი სადაო. თვით მკვლელმა აღიარა, რომ ღამე უცებ კარებმა ჰრიალი დაიწყო და პატარა ხანს უკან სამი კაცი შემოვიდა ჩემს სახლში. ამირასტანმა წუმწუმა გაჰქრა და, რომ დამინახა, საცა ვიწექიო, ამხანაგებს უთხრა, ვიპოვე, სადაცა წევს, და ხანჯალი მომეცით, რომ დავკლაო. ამ ხმაზედ, სთქვა მკვლელმა, ხალიჩის ქვეშიდგან გამოვიღე ხანჯალი და ბნელაში დავეცი; უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ახალუხით გავაკავე. სხვები გაიქცნენ. მოკვლის შემდეგ, ამირასტანი ავიკიდე და ბაღის ღობესთან დავაგდე მარტო მე. ჩემი ძმა დამნაშავე არ არისო. ამ საქმის შესახებ შედგენილი ოქმი გამომძიებელს გადაეცა.

*** იქიდამვე: მეორე უფრო საყურადღებო შემთხვევა ამავე საბოქაულოს სოფ. არახლოში მოხდა. ეს შემთხვევა იმითია საყურადღებო, რომ ცხადად ამტკიცებს, თუ რამდენად ძვალსა და რბილში აქვთ აქაურებს გამჯდარი შურის ძიების ჩვეულება. აი საქმე როგორ იყო: ამ ორის კვირის წინად, როგორც ივერიის ერთს ნომერში მქონდა მოხსენებული, ამ სოფელში, ხვნის დროს, გუთანი რომ აუშვეს, ერთი ადგილობრივი გლეხი მუსა-ჯალი-ოღლი მივიდა თავის სოფლელ ხოინ-იბრაგიმ-ოღლისთან და უთხრა: „რად მაგინებდიო“. ხოინამ მტკიცე უარი უთხრა, რომ შენი გინება გულშიაც არ გამივლიაო, და სთხოვა, მომშორდი, გამეცალეო. მუსა ჯალალ-ოღლი გაუდგა ცოტა შორს, იქვე ბუჩქში ჩამჯდარმა გაუღო თოფი და კინაღამ ცალი ფეხი ბაყვში გააგდებინა. ხოინამ და მისმა ნათესავებმა სამართლამდის მოიცადეს და შურის ძიება არ მოინდომეს, მაგრამ იმათი მტერი მუსა-ჯალილ-ოღლი სამართალმა სრულიად დაუსჯელი დასტოვა. ეს მოჩივრებმა გულში ჩაიჩინეს და სთქვეს, ისევ ჩვენს ძველ კანონს მივმართოთო, იქნება ღმერთმა ინებოს და ჩვენც არაფერი მსჯავრი არ მოგვისაჯოს სამართალმაო. 28 თიბათთვეს ძნის ურმით მომავალს მუსა-ჯალალ-ოღლის ერთის თავის სოფლელ ამხანაგით ოთხი კაცი გადმოუდგება და დაუწყებს ლანძღვა-გინებას. ეს ოთხივენი სულ ნათესავები არიან მუსა-ჯალილოღლის მტრისა, დაჭრილის ხოინ-იბრაგიმ-ოღლისა. მუსა ჯალილ-ოღლიმ პასუხიც ვერ მოასწრო თურმე, რომ ერთმა მათგანმა დასცხო მუსას თავში კეტი და იქვე ჩააკეცინა მუხლები. ამხანაგი მიეშველა და კეტის დამკვრელი უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ამ დროს ერთს ამასაც დასცხებს და ჩააჩოქებს. ამასობაში პირველმა დამნაშავემ, მკვლელმა მუსა-ჯალილ-ოღლისამ, მოასწრო და გაიქცა, დანარჩენნი-კი ადგილობრივის მამასახლისის მიერ შეპყრობილ იქმნენ. მუსა რამდენსამე საათს შემდეგ გარდაიცვალა. ეს ორი გვარეულობა ეხლა საუკუნოდ გადაკიდებულნი არიან.

*** ოზურგეთი: გამოჩენილი ყაჩაღი დარჩია 29 ივნისს კიდევ ერთხელ გასხლტომია ხელიდგან პოლიციას. ბოქაულს შეატყობინეს თურმე, რომ შუაღამისას დარჩია სუფსის ხიდზე გაივლისო. ბოქაულმა გადასწყვიტა, ჩასაფრებოდა კაცებით და დაეჭირა, მაგრამ ვიდრე ჩასაფრებას მოახერხებდნენ, დარჩიას უკვე გაევლო. მეორე დღეს კიდევ შეატყობინეს, უკანვე გამოივლისო, ერთი გლეხი უნდა გაძარცვოს და შემდეგ ამა-და-ამ სოფელში წავაო. დარჩიამ იმ განზრახვით გაიარა სუფსის ხიდზე, რომ მახლობელ ტყეში მუშები გაეძარცვა: შეეტყო, რომ სამოციოდე თუმანი მიიღესო. მართლაც ასე მოქცეულიყო, მაგრამ სამოცის თუმნის მაგიერ მხოლოდ ათი თუმანი ეშოვნა. ერთის გლეხისათვის ორი მანეთი წაერთმია და ერთი მანათი უკანვე დაებრუნებინა, როდესაც გლეხს შეეჩივლა, ხვალ პურს ვღარათი ვიყიდიო. 29 ივნისს კიდევ ჩაუსაფრდნენ სუფსის ხიდზე. ერთ მხარეს იყო მაზრის უფროსი, მეორე მხარეზედ ბოქაული. ღამის $10^1/_2$ საათზე, როცა დარჩიამ ფეხი შემოდგა ხიდზე, აქეთ-იქიდგან ყარაულები წამოიშალნენ და თოფები ისროლეს. დარჩიამ შესჰყვირა, ვინა ხართო, მაგრამ გაიგონა თუ არა ბოქაულის ხმა, დავენებდიო, მაშინვე გაჩუმდა და მიიმალა. ყარაულებმა ძებნა დაუწყეს, აქ სადმე იქნება ჩაკუნჭულიო, რადგანაც არავის ეგონა, თუ 6 საჟენის სიმაღლიდგან გაჰბედავდა გადახტომას, მაგრამ, თუმცა ბევრი ეძებეს, ვერსად მოიხელეს („ახ. მიმოხ.“).

*** ივლისის 1, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, შუაღამისას, ფალავანდიშვილის ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელი იაგორ ზაქარიევი წაეჩხუბა გიგოლა ძამაშვილს და დანით დასჭრა მარცხენა ბარკალში. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს და დამნაშავე-კი პასუხის გებაში მისცეს.

◆◆

---

თამამად მისულიყო ამ ქალთან და ეთქვა: „წავიდეთ, ვახშამზედა გპატიჟობო“.

დავიწყეთ ლაპარაკი. ხმაც ისეთივე ნაზი ჰქონდა, როგორც თვალები. ურცხვობა და ურიგობა ბეწვის ოდნად არ ემჩნეოდა.

იგი სიბრალულს უღვიძებდა ადამიანს და ამავე დროს აღტაცებაშიაც მოჰყავდა. იმ საღამოსვე დიდად ნაზად დავკოცნეთ ერთმანეთს. ოჰ, ასე მგონია, ეხლაც-კი ვგრძნობ-მეთქი ჩემს მხარზედ იმის მდუღარე ცრემლებს, როცა მომეკრა და ტირილით მიამბო, როგორც გაეტარებინა თავისი მწუხარე ყმაწვილობა პარიჟის ქუჩებში, რა უბედურად გამოზრდილიყო და ხორცით დაცემისათვის როგორ ვერ დაეღწია თავი.

ცოტა ხანს შემდეგ მარგარიტა ჩემთან გადავიყვანე. დახლიდრად ვიყავი, ჩემს ქონებას მარტოოდენ ჯამაგირი შეადგენდა და, რაღა თქმა უნდა, სისულელე იყო სხვის თავზედ მოხვევა. ამისდა მიუხედავად, მარგარიტას რომ დიასახლისობა და ცოტა ხელის-მოჭერა სცოდნოდა, გაუჭირებლად ვიცხოვრებდით. მაგრამ, საუბედუროდ, ზოგისა და ყამისა არა იცოდა-რა.

იგი ბუნებით მშვიდი და გულ-ცივი იყო. გარყვნილება არ უყვარდა და უფრო სისუსტით ადგა იმის გზას; ზარმაცი იყო, ფლას-ფულასის დიდი მოყვარული და ერთიანადა ჰგავდა იმ პარიჟელს ქალს, რომელიც დიდის სიამოვნებითა წევს ლოგინში შუადღემდე და რომანის კითხვაშია, მთელს კვირას მწვანილის მეტს არასა სჭამს, ოღონდ ერთი წყვილი აბრეშუმის წინდები იყიდოს.

როცა დარიგებასა და ჯავრობას დავუწყებდი ხოლმე ჩემს საყვარელს, ის გაუწყრომლად მიპასუხებდა: „რა ვქნა, სხვაფრივ ცხოვრება არ შემიძლიან... გამაგდე, მომიშორე, დამერწმუნე, რომ ერთს საყვედურსაც არ გეტყვი... კარგად მესმის, ჩემისთანა დედაკაცი შენ სიკეთეს არ დაგაყრისო“...

გავაგდო! მოვიშორო! პირველში ხანდახან ვფიქრობდი ხოლმე ამის შესახებაც, მაგრამ ის ფიქრი აუტანელი იყო სწორედ ჩემთვის, რომ მარგარიტა ცივად გამომემშვიდობება, იმავ საღამოს იმ საზიზღარს ბალში წავა და პირველივე უცნობი, რომელიც წინ შეეჩეჩება, თავისას წაიყვანს-მეთქი.

შემდეგ-კი, როცა რამდენმამე კვირამ გაიარა, ისე დამიმონავა ამ დედაკაცმა, რომ განშორებაზედ ვიღა იფიქრებდა.

როცა მარგარიტა ჩემსას გადავიყვანე, თეთრეული ძალიან ცოტა ჰქონდა, ერთად-ერთი შავი კაბა და საზიზღარი შლიაპა გააჩნდა. რიგიანად ჩავაცვი და დავხურე, ვანაცვალე ყოველივე ჩემი მონაგარი და შავის დღისთვის გადადებული და ამას გარდა ვალის აღებაც-კი დამჭირდა. თეატრებში, კონცერტებსა და სხვა გასართობ ადგილებში დამყავდა, რადგან მეშინოდა, რომ არ მოიწყინოს და თავი არ დამანებოს-მეთქი, და ამან ხომ სულ ერთიან გამაკოტრა. რამდენისამე თვის ქირა უკვე მიცემული არა მქონდა და ამას გარდა ჩემის ამხანაგებისაც დიდ-ძალი ფული მემართა. ჩემს დარდს-კი მაინც არ ვუმხელდი მარგარიტას. ან რა გამოვიდოდა, რომ მეთქვა კიდეც? თავის მშვიდის ხმით იმავ პასუხს მომცემდა, «რა ვქნა, სხვაფრივ ცხოვრება არ შემიძლიან... გამაგდე, მომიშორეო!» ამისთანა სასოწარკვეთილს მდგომარეობაში ყველას მოუვა ფიქრად ყომარბაზობის შემწეობით ბედის ცდა და საქმის გაუკეთესება. მე-კი მით უფრო ადვილად მომივიდა ეს ფიქრი, რომ დღე მუდამ მესმოდა ხოლმე ამხანაგებისაგან ლაპარაკი, აი, ამან მოიგო დღეზედ ამდენი, იმან ამდენი მოიგოვო. ერთმა მათგანმა, ძალიან ბედნიერმა ამ მხრივ, მაცნობა, რომ ერთის მცოდნე კაცის რჩევით, რომელსაც არა ერთხელ მოუგებინებია ჩემთვის, ოტეილოს დოღის დროს მე „უვაის შვიდიანად“ წოდებულ ცხენის მხარეს დავიჭერ და, რაღა თქმა უნდა, მოვიგებ კიდეცაო. ვინც მოიგებს, ის-კი თავის სანაძლეოდ ჩამოსულ ფულზედ ერთი ათად მეტს მიიღებსო.

ასეთმა დარწმუნებულმა ლაპარაკმა გონება ამიფორიაქა.

— ორმოც-და-ათი თუმანი რომ ისევე მქონდეს-მეთქი, ვამბობდი: ერთი ათად!.. ხუთასი თუმანი!.. ამ ფულით ჩემს ვალებსაც გავისტუმრებდი, გულიც დამიმშვიდდებოდა და მარგარიტასთან რამდენსამე თვეს უზრუნველადაც ვიცხოვრებდი.

მაგრამ ჯიბეში ორ თუმანზედ მეტი არ მიჰყაოდა და ჩემს უგუნურს ოცნებას ფრთები დავაჭერ.

ამას შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, მარგარიტა ცირკში წავიყვანე. ჩვენ ფეხით მივდიოდით, ხელი-ხელს გაყრილნი, და პალეროიალის გალერეიაზედ ავიარეთ. მარგარიტა აბა რა ქალი იქნებოდა, რომ რამდენჯერმე მაინც არ შემდგარიყო ოქრომჭედლების ფანჯრებთან და იქაურობისათვის თვალი არ გადაევლო.

მან განსაკუთრებით ერთს წმინდა, ბრილიანტებით შემკულს სამაჯურს მიაქცია ყურადღება.

— რა უნდა ჰღირდეს ეს პაწია სამაჯური?

— ორმოც-და-ათ თუმანზედ ნაკლები არ ეღირება-მეთქი, ვუპასუხე.

უკანასნელად თვალი გადაავლო სამაჯურს და ნელის ნაბიჯით გაშორდა.

— წავიდეთ, ეს ნივთები საჩვენო არ არისო, სთქვა აღმოოხვრით.

ამ წუთას წვლილად გამახსენდა ჩემის ამხანაგის ნათქვამი სიტყვები დოღის შესახებ, იმის გაბედულობა მეც გადმომედო და მაცთურმა ჩამჩურჩულა, რომ დახლიდგან ასი თუმანი აიღე, ზოგით სამაჯური უყიდე მარგარიტას და დანარჩენი-კი „უვაის შვიდიანის“ სანაძლეოს მოახმარეო. მოვიგონე ხერხი, რომ რამდენისამე დღით დამეფარა ფულის აღება, ვიდრე ისევე შევავსებდი დანაკლისს მოგებულით. თვალ-წინ მიდგა ჩემი უზრუნველი სახე, ოქროთი სავსე ჯიბეები, მშვენიერი სადილები და თეატრში ხშირად ტარება მარგარიტასი.

ამ ფიქრებმა უცბად გამიელა თავში, ერთს თვალის დახამხამებაზედ, ისე უცბად, რომ ჯერ მარგარიტას თვალი არც-კი მოეშორებინა სამაჯურისათვის.

მაგრად მივიკარი იმისი ხელი და აჩქარებითა და აღელვებით თან გავიყოლე. შემდეგ, თითქოს ჩაქუჩი დამთხლიშა ვიღამაც თავშიო, უეცრად ვიკითხე: „რომ არ მოვიგო?“.

ჩემს თანამგზავრს ქვემად შევხედე. ჩემდა საბედნიეროდ, მარგარიტა ამ დროს იქით იხედებოდა და ვერ შენიშნა. ერთის დუქნის სარკეში გიჟის სახე დავინახე და გულს ელდა მეცა, ის გიჟი სწორედ მე მგავდა.

თავს საშინელი ძალა დავატანე და აჩქროლებული გული დავიწყნარე. რა ვუყოთ მერე, რომ არ მოვიგო კიდეც?.. დამნაშავის სკამზედ გამომჭიმავენ, საპატიმროში ჩამსვამენ და, ვინ იცის, იქნება კატორგაშიაც ამომაყოფინონ თავი... გაუბედავადა და თავ-გამოუდებლად არა კეთდება რა. ვინიცობაა მარცხი მომივიდეს, დავუმტკიცებ მაინც ჩემს სიყვარულს იმ დედაკაცს, რომელმაც დამიმონავა და რომლის ცივი გულიც ვერ გავათბე. იქნება, ვინ იცის, მაშინ მაინც შემიყვაროს და ახლა ის დაიტანჯოს, როცა გაიგებს, რომ ჩემის გულისთვის ჩაუდენია ქურდობაო?..

ორ-ანი

(დასასრული იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ, 25 ივნისი. ბევრჯელ თქმულა და დაწერილა, რომ საქართველოში პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება ვერ არის რიგიან გზაზედ დაყენებული და მტკიცე საძირკველი არა აქვსო. თუმცა ეს ნათქვამი საზოგადოდ მართალია, მაგრამ კერძოდ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში კი სასიამოვნო მოვლენა შეიმჩნევა. მაგალითად, გურიაში, ამ პატარა, მაგრამ ნიადაგის ნოყიერებითა და მკვიდრთა ნიჭით შეუდარებელს ქვეყანაში, ერთი საზოგადოებაც არ მოიპოვება ისეთი, რომ საერო სკოლა არ იყოს გამართული, სამრევლო სკოლებს ხომ ანგარიში არა აქვს. იქ ხალხი ისე მოწადინებულია სწავლის შეძენას, როგორც მშიერ-მწყურვალი კაცი სმასა და ჭამას. ამიტომ საუკეთესო მასწავლებლებიც გურიისაკენ მიეშურებიან იმ იმედით, რომ იქ ხალხი ჩვენი თანამგრძნობელი იქნება და შრომა უნაყოფოდ არ ჩაგვივლისო. მართლაც, ზოგიერთ გურიის სკოლაში ყმაწვილები ისე ვარჯიშდებიან ყველაფრით და იმ ზომამდე ეხსნებათ ჭკუა-გონება, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ეს გავარჯიშ-განვითარება აშკარად ემჩნევათ. გურიიდგან წაბრძანდით სამეგრელოში და აქაც თითქმის ამავევე სასიამოვნო მდგომარეობაში ჰნახავთ სკოლებს, მაგრამ იმერეთისაკენ-კი ნუ იქთ პირს, თორემ თქვენი მტერი, აქაურმა სკოლებმა თქვენ გული შემოგყაროთ და ისიც-კი, რაც გურია-სამეგრელოში ჰნახეთ სასიამოვნო, ისიც-კი მთლად ჩაგამწაროთ! უმეტესი ნაწილი იმერეთის სახალხო სკოლების მასწავლებლებისა თითქმის ყველაფრით უმეცარია და ვერაფრად მცოდნე თავის მოვალეობისა. მართალია, მას აქეთ, რაც გორსა და ხონში სამასწავლებლო სემინარიები დააარსეს, ჩვენს იმერეთშიაც მოაგდო ბედმა რამდენიმე რიგიანად მომზადებული მასწავლებელი, მაგრამ იმათგან უმეტესმა ნაწილმა უკვე მიატოვა მასწავლებლობა და ვინც დარჩა, მგონი იმათაც მალე დაჰყარონ იარაღი. რადაო? იკითხავთ. იმად, რომ, როგორც მოგეხსენებათ, შიმშილი და საზოგადო მოღვაწეობა ერთად ძალიან ძნელი და იშვიათი მოსათავსებელია. ამით ის-კი არ მინდა ვსთქვა, ვითომ მასწავლებლებს ჩვენში ისე მცირე ჯამაგირი ჰქონდეთ დანიშნული, რომ თავისის ჯამაგირით ლუკმა პურის შოვნაც არ შეეძლოთ, არა, ამისი თქმა ტყუილი იქმნება, რადგან ჩვენში მასწავლებლებს 200–250 მანეთამდე ჯამაგირი აქვთ დანიშნული, მაგრამ საბრალოებს ძვირად უჯდებათ თავის მცირე ჯამაგირის აღება.

ამისი მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ ორის წლის წინად სამოსწავლო მთავრობამ ერთი კაცთ-მოყვარული განკარგულება მოახდინა. ამ განკარგულების ძალით მამასახლისები ვალდებულნი არიან ყოველ თთვეს დააკმაყოფილონ ხოლმე მასწავლებლები და ჯამაგირი დროზედ მიაწოდონ. ზოგიერთმა მამასახლისმა ამ განკარგულებაზედ ყურიც არ შეიბერტყა და სულ არა ჰზრუნავს მასწავლებლის ავისა და კარგისათვის. ეს ახლად შემოღებული წესი მხოლოდ იმ მასწავლებლებს მოუხდათ, რომელნიც სინიდისიერ მამასახლისებიან სოფლებში არიან, ხოლო დანარჩენებისათვის-კი ეს ამ განკარგულება ჯამაგირის სრულიად მოსპობას უდრის. იმერეთის სკოლების მასწავლებლების უმეტესი ნაწილი-კი ამ მხრით ბედ-შესანატრელნი არ არიან. იმერლებს საზოგადოდ არაფრად გვეპიტნავება სკოლა და სწავლა-განათლება და, რასაკვირველია, მამასახლისიც, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი, სკოლისა და სწავლა-განათლების გულის ჯავრს მასწავლებელზე ჰყრილობს და ამით სურს ხალხი ასიამოვნოს, ან რატომ არა, როდესაც ხალხი იმ აზრისაა, რომ მასწავლებელი რომ არ იყოს, არც სკოლა და ბავშვების «სკოლაში სწავლება» იქმნებაო. „ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირი დაამტვრიესო", ისეა სწორედ აქაურ მასწავლებლების საქმეც. ერთხელვე დამტკიცებულ სკოლებს რომ ვეღარაფერს უშვრებიან, მასწავლებლებს აწუხებენ და ავიწროებენ. ამ შეწუხების დროც ჯამაგირის აღებაზე აქვთ ბ-ნ მამასახლისებს. ჩვენში მასწავლებლები ამ თთვის ჯამაგირის მიღებას იმ თთვემდის მაინც უნდა ეხვეწ-ემუდარნენ მამასახლისებს და იქნება მაშინ ეღირსოთ, ისიც დიდის დამადლებით. ან-კი რა ენაღვლება მამასახლისს? იმას მასწავლებლის ხვეწნა-მუდარა თავის მოწონებადა აქვს და ის-კი ფიქრადაც არ მოსდის, რომ ეს ხვეწნა-მუდარა შეურაცხჰყოფს მასწავლებლის თავ-მოყვარეობას, ენერგიას უკარგავს და ხშირად საქმეზედ გულს უცრუებს.

მერე, მთავრობა არა გყავთო? იკითხავთ. კი, გვყავს, მაგრამ სამთავრობოდ თუ გახდა საქმე, უკეთესია მასწავლებელმა ხელი აიღოს მასწავლებლობაზე, რადგან საჩივრით ის ბევრს ვერაფერს გაიტანს და ხალხსა და მამასახლისს-კი ერთი-ორად უფრო გადიმტერებს. ვსთქვათ, იანვრიდგან უჯამაგიროდ დარჩენილი მასწავლებელი ეღირსა და აპრილში ჯამაგირი მოუბოჭეს, მაგრამ რა გამოვიდა? მამასახლისი ასწევს, ამ ფულებით „ხელს მოინაცვლებს" და მასწავლებელს-კი იმდენ ხანს იხვეწიებს, რამდენიც ეპრიანება. თუ მასწავლებლის ვედრებამ ვერ მოულბო გული მამასახლისს, ამ უსამართლო მოსამართლეს, მაშინ მასწავლებელი იძულებულია თავისი გაჭირება მთავრობას აცნობოს, მაგრამ არც ამაზე შეგიშინდება მამასხლისი. იმან კარგად იცის, რომ მასწავლებლის მოხსენება ერთ-ორ კვირას დირექტორისას გაჩერდება, იქიდგან დაბრუნებული ყვირილაში შედგება და ერთი თთვე მაინც მაზრის სამმართველოში გაატარებს; მაზრის სამმართველოდგან, თუ აუჯიკავა ვინმე მასწავლებლის თხოვნას ხელი, პოლიციის ბოქაულთან უნდა მივიდეს, იქ რჯულზე მოითავისახლოს და ბოლოს მამასახლისთან გასწიოს შემდეგის ზედდაწერით: „Предписываю старшинѣ (такого то общ.)—удовлетворить учителя (такого-то) и объ этомъ донести мнѣ". მიიღებს თუ არა მამასახლისი ამ მოწერილობას, იქვე წააწერინებს თავისს მდივანს: „Честь имѣю донести, что денегъ въ пользу учителя пока не поступило, а когда поступитъ, удовлетворимъ немедленно"-ო და გათავდა. იმდენი სიცოცხლე თქვენც მოგეცეთ, მკითხველო, და მეც, რამდენი ხვეწნაც კიდევ ამის შემდეგ დასჭირდეს მასწავლებელს. ხშირად ჯამაგირის მცირეოდენი ნაწილი „გასამრჯელოდაც იხარჯება". აი ამ მდგომარეობაში არიან ჩვენის სკოლების მასწავლებლები და აბა რა გული უნდა ჰქონდეთ თავიანთ საქმეზედ?

ეს წერილი სასიამოვნო ამბით უნდა დავაბოლოვო: ამ თვის 23 დაბა ხარაგოულის სასოფლო სკოლაში ეგზამენი იყო დანიშნული. მიპატიჟებულნი იყვნენ ბლაღოჩინი ერმალოზ ვეფხვაძე, მღ. რომანოზ დეკანოსიძე, მასწ. მ. ბუაჩიძე, სტუდენტი ხარკოვის უნივერსიტეტისა, ა. ეფიმოვი, და მე. არსად სასოფლო სკოლაში ასე კარგად მომზადებული შეგირდები არ გვინახავს. ეს სკოლა მაინც პირველ სკოლად ითვლება მთელს მაზრაში. საბედნიეროდ, როგორც ბ-მა ტაბუკაშვილმა მაცნობა, ხარაგოულის საზოგადოების მამასახლისიცა და მწერალი იოსებ ტაბატაძეც, როგორც განათლებული კაცი, დიდად თანაუგრძნობენ თურმე ერის განათლების საქმეს და სკოლას ძალიან ეხმარებიან. მასწავლებელი ტაბუკაშვილი და მწერალი იოსებ ტაბატაძე სულითა და გულით მოწადინებულნი არიან ხარაგოულის სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთონ. ამათ ბლაღოჩინი მამა ე. ვეფხვაძეც მხარს აძლევს და იმედი აქვსთ, მალე შეისრულონ გულის წადილი.

ღორეშის პირველ-დაწყებით სამრევლო სკოლის მასწავლებელი.

სიმონ ჭუმბურიძე

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ ეს ანგარიში ბალისა, რომელიც გამართული იყო ქუთაისის კლუბში 15 აპრილს კნეინა მარიამ არჩილის ასულის წერეთლის მიერ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

| | ბილ. |
|---|---|
| ბილეთები დაიბეჭდა ქალთათვის თითო მანათიანი. | 264— „ |
| კაცთათვის თითო მანათ ნახევრიანი | 256— „ |
| სულ | 520— „ |

გაიყიდა:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქალის ბილეთი—97 | 97— „ |
| (დარჩა გაუყიდავი 167 ბ.) | |
| კაცის ბილეთი 125. | 250— „ |
| (დარჩა გაუყიდავი 131 ბ.). | |
| სხვებმა შემოსწირეს | 59— „ |
| ბუფეტისა შემოვიდა. | 50— „ |
| სულ შემოვიდა. | 456— „ |

დაიხარჯა:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| აფიშებისა და 520 ბილეთის დასაბეჭდი. | 7— „ |
| აფიშების გასაკრავად. | 3— „ |
| პოლიციელებს | 3— „ |
| მუსიკის დაქირავება. | 34— „ |
| ბუფეტის ხარჯი, ლაქიებს, კლუბის შვეიცარის ანგარიშით—კლუბის გასანათებლი და სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი, კოტილიონისათვის ნივთები— სულ | 128—60 |
| სულ დაიხარჯა. | 175—60 |

წმინდა შემოსავალი დარჩა და უკვე გარდაეცა ბ-ნ ინსპექტორს სკოლისა 280 მ. 40 კ. ბალის გამგე კნეინა მარიამ არჩილის ასული წერეთლისა.

—

ქუთაისის ალექსანდრეს სათავად-აზნაურო სასწავლებლის მზრუნველი რჩევა დიდს მადლობას უცხადებს კნეინა მარიამ არჩილის ასულს წერეთლისას ბალის გამართვისათვის აპრილის 15 ხსენებულის სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ და აგრეთვე ბ-ნთ შემომწირველთ და ყველა იმათ, ვინც დაეხმარა ბალის გამართვას.

სათავად-აზნაურო სასწავლებლის მზრუნველის რჩევის თავმჯდომარე კნეინა ელენე დიმიტრის ასული

ლორთქიფანიძე

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

სამხრეთ რუსეთის გაზეთებში სწერენ, რომ, რადგან ქვის ნახშირი აღარ იყიდება, წვრილმან მრეწველებმა სრულიად დაანებეს თავი იმის თხრასაო. დიდმა მოვაჭრეებმაც ხელი აიღეს ამ წარმოებაზე, რადგან მუშის ფასმა აიწიაო. ამ ზამთარს დიდ უნახშირობას და სიძვირეს თურმე მოელიან რკინის-გზებზედ, მით უმეტესად, რომ წრევანდელ კარგის მოსავლის გამოზიდვა გაძლიერდებაო: ამასთანავე სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ქვა-ნახშირის მადნები წვიმების გამოისობით ერთიან გაოხრდება, თუ მუშაობა შეჩერდებაო.

— რუსეთის რკინის-გზების მთავარ-სამმართველოში ამ ჟამად იმის შესახებ ლაპარაკობენ, რომ მესამე კლასით მოსიარულეთათვის გადასახადი შემცირდეს. ამასთანავე აპირობენ, რაც შეიძლება, მალე შემოიღონ მეოთხე კლასის ვაგონებიც. ჯერ-ჯერობით ეს ვაგონები მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგს შუა იმუშავებენ. გადასახადი იქნება $^1/_2$ კაპ. ვერსზედ.

— სამკურნალო დეპარტამენტს ახალი პროექტი შეუმუშავებია სასაფლაოთა შესახებ. პროექტში აღნიშნულია ყველა ის ზომა, რომელიც დეპარტამენტს საჭიროდ უცვნია სასაფლაოების სისუფთავისთვის. პოლიციამ სასტიკი ყურადღება და ზედამხედველობა უნდა იქონიოს ყველა სასაფლაოზედ, რომ პროექტში აღნიშნული სასანიტარო ღონისძიებანი აღსრულებულ იქმნესო.

— რუსის ტეხნიკოსს ზახაროვს ერთი რკინის-გზებზედ სახმარებელი მანქანა გამოუგონია. ამ მანქანის შემწეობით გზაზედ მომუშავეს შეუძლიან ყველაფერი აღნიშნოს და გაელაპარაკოს კიდეც სადგურზე მყოფთ, რა მანძილზედაც უნდა იყოს თითონ წასული.

— ახირებული ხერხი უხმარია თავის მოსაკლავად ერთ პეტერბურგელ მეეტლეს, იაკობ ბალაშოვს. ამ კაცს 25 ივნისს განუზრახავს სიკვდილი, გაუჩერებია თავისი ეტლი, ჩამოსულა, ხელის შოლტი გაუმარყუჟებია, კისერზედ გადუცვია და ცალი წვერი კოფოზე გამოუბამს. ამ ნაირად ჰსურდა თურმე საბრალოს სიცოცხლე მოესპო, მაგრამ ერთ გამვლელს დროზედ შეუნიშნა ეს ტრაგიკული კომედია და ბალაშოვისთვის ხელი შეუშალა. ამნაირი გმირობა მეეტლისა იმას გამოეწვია, რომ ძალიან გადაკრულში ბრძანებულიყო.

— რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება აპირობს, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ, ახალი კანონი გამოიცეს იმ უცხოელთ ქვეშევრდომთა შესახებ, რომელნიც რუსეთის ქარხნებში მსახურობენო. საზოგადოებას შეუნიშნავს, რომ უცხო ქვეყნელთა რიცხვი აღემატება რუსებისასო, და ამ ახალის კანონით სურს შეამციროს. საზოგადოების თხოვნაში მოხსენებული იქნება, თუ რამდენზედ არის შესაძლებელი უცხოქვეყნელთა რიცხვის შემცირება.

## წვრილი ამბები

გერმანიის ერთს პატარა ქალაქში ყველას აოცებს და აკვირვებს თურმე ერთი მართლაც და საკვირველი ქალიშვილი. ეს ქალიშვილი ხნით მხოლოდ თერთმეტის წლისაა და სიმაღლით-კი ერთს საჟენს აღარა უკლია-რა.

— პარიჟის ვოგზალზე ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა. რკინის გზის მატარებლის წასვლამდე ერთს ვაგონში შესულა ჟანდარმი და ხმა-მაღლა უთქვამს: „გაფრთხილდით, აქ ორი ჯიბგირი ჰზისო!". ამ სიტყვისათანავე ერთი კარგად ჩაცმული კაცი წამომხტარა თურმე და ჟანდარმს, მადლობის ნიშნად, თავაზიანად უთხრა: „გმადლობთ, ძალიან გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ: ჯიბეში ერთობ ბევრი ფული მაქვს და მეტის-მეტად ვშიშობ, ვაი თუ ამომაცალოს ვინმე. ამ ვაგონში მე აღარ დავმედგომებიო...", სთქვა და მაშინვე გავიდა ვაგონიდგან. იმ წამსვე ვაგონის მეორე მხრიდანაც წამოდგა ახლა სხვა მშვენივრადვე ჩაცმული კაცი, თავი მოიბოდიშა: „ნება მიბოძეთ, ჩემი გულითადი მადლობაც გამოგიცხადოთ! მეც ბევრი ფული მაქვს, მეც მეშინიან, ჩიფათში არავინ გამახვიოსო!.." და ამ სიტყვებით ეს მეორე ბატონიც თან გაჰყვა პირველს. შემდეგ-კი ჟანდარმმა გამოაცხადა: „ახლა-კი ნუღარაფრის გეშინიათ, ჯიბგირები ის ბატონები ბრძანდებოდნენ!"

— ჰამბურგის სამხედრო უწყების კომიტეტს გამოუცხადებია, რომ თუ ვისმე კაცი უნდა წყალში დარჩობისაგან გადაარჩინოს, ასე უნდა მოიქცესო: დაინახავს თუ არა წყალში გაჭირვებულ კაცს, უცბად ტანისამოსი უნდა გაიძროს და, თუ ძნელი გასახდელია, რომ მალე განთავისუფლდეს, შემოიგლიჯოს კიდეც. ყველაზე უფრო კარგი იქნება, თუ მოასწრო საცვლის გახდაც. ჩავარდება თუ არა წყალში, ხმა-მაღლა უნდა დაუძახოს გაჭირებაში მყოფ კაცს, ნუღარ გეშინიან, გადარჩენილი ხარო. ვიდრე კაცი ზვირთებს ებრძვის, არ უნდა მიეკაროს, იმიტომ-რომ უთუოდ ხელს წაავლებს, საშველს ღონეს აღარ მისცემს და თითონ მშველელსაც მორევში ჩაითრევს და როდესაც დამშვიდდება, მაშინვე უნდა მივიდეს, ქოჩორში სტაცოს ხელი და გულ-აღმა გადმოაბრუნოს. ქოჩორი ორივე ხელით ისე უნდა დაიკავოს, რომ არამც-და-არამც გულ-დაღმა არ გადააბრუნოს და ისე, ზურგით გამოაცოცოს ნაპირზე. ერთს კაცს შეუძლიან სამი ადამიანი გამოათრიოს ქოჩრით ამ გვარადაო.

— კოლორადოში გამოჩენილა ახალი, ფრიად მდიდარი ოქროს მადანი.

— ჟურნ. „Наука и Жизнь"-ისათვის ერთს ხელის-მომწერელს შემდეგი ფრიად საინტერესო ამბავი მიუწერია: „რამდენისამე წლის განმავლობაში ფილტვების ავადმყოფობით ვიყავი ავად და, ბოლოს-კი, როგორც ექიმმა დაამტკიცა, ჩემი ავადმყოფობა ჭლექი აღმოჩნდა. ექიმის რჩევით ჰავისათვის ბალაკლავაში წავედი და რამდენისამე ხნის შემდეგ ჰავამ ისე მიშველა, რომ ჭლექისაგან განვთავისუფლდი. მე-კი მოვრჩი და განვთავისუფლდი, მაგრამ ჩემმა ავადმყოფობამ ერთი ჩემი შემოჩვეული მამალი

იმსხვერპლა. ავადმყოფობის დროს ერთს წყლიანს ჭურჭელში ვახველებდი ხოლმე. ის ჭურჭელი იმდენს ბუზს იზიდავდა, რომ მოსვენება აღარა მქონდა და მოგერებას ვეღარ ავდიოდი. ამიტომ ჩემს მოსამსახურეს ვუბძანე, ბუზები საღამ-საღამოობით პირსახოცით დაეხოცა, მაგრამ, რადგანაც არ გვინდოდა, რომ ჩვენს შრომას უსარგებლოდ ჩაევლო, დახოცილს ბუზებს ვკრეფდით და მამალს ვაჭმევდით. ცოტა ხანს შემდეგ მამალი დაიღონდა, საჭმლის მადა დაეკარგა და დილიდგან დაწყებული საღამომდის მარტო წყალს-ღა სვამდა. გუნებაც შეეცვალა, მუდამ გულ-მოსულად იყო და ქათმებს ტყუილა-უბრალოდ ეხუებოდა. ასე იცოცხლა სამი თვე, საშინლად გახდა, დაილია და მოკვდა კიდეც“.

## დეპეშა

2 ივლისი

**ასხაბადი.** რუსეთის ახალი ელჩი, სპარსეთის შაჰთან განწესებული, ბიუცოვი, გუშინ ენზელში მოვიდა და 5 ივლისს თეირანში იქნება.

**სტამბოლი.** სომხითის პატრიარქის მიერ წარდგენილის ქაღალდის განსახილველად ოსმალეთის სომეხთა არეულობის შესახებ ხონთქარმა კომისია დანიშნა დიდებულთა და წარჩინებულთაგან.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ შეიწყნარა იმის კანონ-პროექტი, რომ მთავრობამ ყოველ წლივ დიდ-ძალი ვერცხლი იყიდოს ხოლმე.

—

**დეპეშის გასწორება.** გუშინდელს უმთავრესს მოგებათა ტირაჟის დეპეშაში ერთი ციფრა მეტი იყო. დღეს უკვე ამბავი მოვიდა პეტერბურგიდგან, რომ 8000 მანათიან მოგებაში სულ ერთიან უნდა გამოკლებულ იქმნას № 11232—30 და 5000 მანათიან რიცხვთა სიას უნდა ჩაერთოს № 9809—15.

3 ივლისი

**პარიჟი.** დღეს დილით სადგურ სტრასბურგის წინ, „თანხმობის“ მოედანზედ, გაიარეს მრავალ რიცხოვანმა მამულის მოყვარეთა საზოგადოებებმა. ბულანჟელთა დეპუტატს პოლენ-მერის სიტყვის წარმოთქმა ერნდოდა, მაგრამ პოლიციამ დააპატიმრა და შემდეგ ისევე განათავისუფლა. პრეზიდენტის კარნოს ელისეის სასახლეში დაბრუნების რამდენსამე წუთს წინად ვიღაც უცნობმა ჰაერში რევოლვერი დასცალა და მაშინვე დააპატიმრეს. ამ კაცმა სთქვა, რომ ჟაკობი მქვიანო, ხელობით ქიმიკოსი ვარო და ეხლა-კი არსად ვმსახურობო. როგორც ეტყობა, დაპატიმრებულს მხოლოდ ის უნდოდა, რომ ყურადღება მიექციათ მისთვის, რადგან რევოლვერი მარტო ქაღალდით იყო გატენილი. ჟაკობს ჩვენება ჩამოართვეს.

**პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი.**

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | — „ | „ | 6 94 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $138\frac{1}{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | 1 12 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 231 |
| —მეორისა . . . . . | $215\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | $212\frac{1}{4}$ | — „ | $210\frac{3}{4}$ |
| ცირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | $4\frac{1}{2}$ | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 | |
| „ 2 „ | $2\frac{1}{2}$ | |
| თორნის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | $3\frac{1}{2}$ | |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | „ |
| „ 2 „ „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.


# განცხადებანი

მიხ. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—8)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—10)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესაყარში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (5—5)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნიჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

## От редакціи журнала «Восходъ».

Въ виду сбивчивости и отрывочности свѣдѣній, получаемыхъ изъ **Палестинскихъ еврейскихъ колоній**, и желанія, выраженнаго многими читателями, имѣть о нихъ точныя и подробныя свѣдѣнія, редакція „Восходъ“ нынѣ снарядила въ Палестину своего **спеціальнаго корреспондента**, человѣка вполнѣ компетентнаго и уже побывавшаго раньше въ этихъ колоніяхъ, автора „Дневника Палестинскаго эмигранта“. Письма его уже появились въ №№ 14, 16 и 18 „Хроники“.

Своевременно вышла АПРѢЛЬСКАЯ—МАЙСКАЯ книга журнала **„ВОСХОДЪ“.**

**Содержаніе.** I. *Библейскія мелодіи.* Книга руѳь. Стихотвореніе. **Константина Льдова.**—II *Еврейскій вопросъ.* **В. А. Скрипицына.**—III *Суламита.* Комедія въ пяти дѣйствіяхъ. Поля Гайзе. Переводъ въ стихахъ. **Н. М. Минскаго.** IV *Исторія хасидскаго раскола.* На основаніи первоначальныхъ источниковъ, печатныхъ и рукописныхъ **С. М Дубнова**—V. *Іисусъ навинъ.* Разсказъ изъ библейской эпохи. Георга Эберса. Перев. **С. О Днѣпровскаго.**—VI. *Посланіе.* Стихотвореніе. **С Г. Фруга.**—VII. *о Еврейскихъ именахъ собственныхъ.* Д-ра **М. Погорѣльскаго.**—VIII. *Въ духѣ времени.* Романъ. **Б. Ротманна**—IX. *о Чертѣ осѣдлости.* О происхожденіи и современномъ значеніи этого установленія съ точки зрѣнія русскаго человѣка. **Русскаго.**—X. Дневникъ. Разсказъ. **С. О. Ярошевскаго.**—XI. *Руководство къ русскому законодательству о евреяхъ.* (Особое приложеніе къ „Восходу“). **М. И. Мыша** *Современная лѣтопись.*—XII. *Изъ парижа.* **А. К.**—XIII. *литературная лѣтопись: пѣвецъ гонимаго народа.* **С. Г. Фругъ.** *Стихотворенія.* 1881—1889. *Изданіе второе, томъ первый. Спб.* 1890 **Д. Л. Мордовцева.**—XIV. *Библіографія: Миръ, добродѣтель и милосердіе. Книга семнадцатая изъ сочиненій М. І. Розенсона. Наставленіе мира. Книга восемнадцатая изъ сочиненій М. І. Розенсона.* **С. М.**

Для ближайшихъ книжекъ журнала, кромѣ продолженія уже начатыхъ статей, имѣются еще слѣдующія:

**Историческая повѣсть.** *Д. Л. Мордовцева.*

**Біографическіе этюды изъ талмудической эпохи.** Рабби Іегуда. *М. Г. Моргулиса.*

**Подъ гнетомъ времени.** Сказаніе XIII столѣтія. *Н. А. Рубакина*, автора повѣсти Исаакъ Джемъ.

**Итоги надеждъ** и упованій передовой части русскихъ евреевъ за послѣднія 50 лѣтъ (1838—1888 гг.). Д-ра *Р. Кулишера.*

**Русскіе евреи въ Америкѣ.** Очерки жизни и положенія русско-еврейскихъ эмигрантовъ *Г. М. Прайса.*

**На Западѣ.** I. Парижскіе силуэты. II. Лондонскіе силуэты. *П. Я. Левенсона.*

**Евреи-Крымчаки.** *П. М. Лякуба.*

**Письма изъ Галиціи.** Veritas.

Стихотворенія: К. Льдова, Н. М Минскаго, С. Г. Фруга, и разныя другія статьи постоянныхъ сотрудниковъ журнала.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1890 ГОДЪ.

Цѣна на годъ журнала „ВОСХОДЪ“ и газеты „НЕДѢЛЬНАЯ ХРОНИКА ВОСХОДА“ 10 р., на полгода 6 р., на 3 мѣс. 3 р. За границей на годъ 12 р., на полгода 7 р. Разсрочка подписной платы допускается только для лицъ, подписывающихся съ 1-го Января на годъ, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ 4 р., къ 1 Марта 3 р. и къ 1-му Іюля 3 р. Подписка принимается: въ главной конторѣ редакціи, С.-Петербургъ, Площадь Большаго Театра, 2—82, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

НОВЫЕ ПОДПИСЧИКИ, прилагая 10 к. за пересылку, получаютъ безвозмездно первыя главы романа „Въ духѣ времени“ Б. Ротмане, начавшагося печатаніемъ въ 1889 г.

Редакторъ-издатель А. Ландау.

(3—1)



ტფილისის გამოფენისა



ვერცხლის.



ოქროსი.

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

**А. А. ТУТАЕВА**

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—8


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Іюля 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баровской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე